

საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზი

ივეტა გოგავა

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, პოსტ საბჭოთა კვლევების ცენტრის ანალიტიკოსი, ელ ფოსტა: igogava@ucss.ge

რეზიუმე

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ისტორიის ინტერპრეტირება პოლიტიკური გარემოებებისა და იდეოლოგიების მიხედვით იცვლება, ამიტომაც ისტორიული პერიოდების შესწავლა, სახელმძღვანელოების ანალიზი და ისტორიული მოვლენების განსხვავებული ვერსიების ხაზგასმა სამეცნიერო აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, განიხილოს ისტორიის წერის პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წარმოაჩინოს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში განვითარებული ნაციონალიზმის ძირითადი ასპექტები და ისტორიული ნარატივები პოსტ საბჭოთა პერიოდში. ნაშრომის მთავარი საკვლევი შეკითხვა შემდეგნაირად გამოიყურება: რამდენად აისახა საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ნაციონალიზმის გავლენა პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში? ნაშრომი იყოფა სამ ნაწილად. პირველ ნაწილში, შესავალში, საუბარი იქნება ისტორიული ნარატივების მნიშვნელობასა და ისტორიის წერის ძირითად კონცეფციებზე. ნაშრომის მეორე ნაწილში საუბარი იქნება საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების წერის ძირითად ტენდენციებზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაანალიზებული იქნება, თუ რა პრობლემებსა და გამოწვევებს ვხვდებით დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. ნაშრომის მესამე ნაწილი შეაფასებს ინტერვიუს და სახელმძღვანელოების კონტენტ ანალიზის შედეგებს, გამოჰყოფს ძირითად მიგნებებს.

საკვანძო სიტყვები: ისტორიის სახელმძღვანელოები, ისტორიული დისკურსი, ინტელექტუალები, სახელმძღვანელოების კვლევა, ისტორიული ნარატივები, სასწავლო პროგრამები, ნაციონალიზმის ფორმები.

შესავალი/ პრობლემის განსაზღვრა

„ვინც აკონტროლებს წარსულს, ის აკონტროლებს მომავალს. ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც“ - წერდა ჯორჯ ორუელი თავის წიგნში „1984“.¹ ბოლო ათწლეულებში სამეცნიერო წრეებში აქტიურად დაწყებული საუბარი ისტორიის შექმნის მნიშვნელობაზე, მის როლზე ერის მშენებლობის პროცესსა და მოქალაქეებში პატრიოტიზმის გრძნობის გამოცოცხლებაში, მიგვითითებს იმაზე, რომ ისტორიამ ე.წ. მედიის ფუნქცია შეიძინა. ის წარმოადგენს შუალედურ არხს, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოებას შექმნას საკუთარი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური დისკურსი.²

ისტორია კონსტრუირების და ინტერპრეტირების პროცესია, რომელიც თავის თავში მოიცავს დიალოგის წარმოებას წარსულს, მის შემნახველებსა და ისტორიის თანამედროვე ინტერპრეტორებს შორის. ამასთანავე, ის მიზნად ისახავს ნარატივის³ შექმნას, რომელიც ახსნის და თავის დატვირთვას შესძენს ქვეყნის ისტორიაში არსებულ მნიშვნელოვან მოვლენებს.⁴ სახელმძღვანელოების შემთხვევაში საქმე გვაქვს წერით ნარატივთან, რომელიც გაცილებით უფრო რთულია, რადგან საჭიროებს ფართომასშტაბიან ანალიზს.⁵ იგი თავის თავში მოიცავს სხვადასხვა დონეებს, როგორცაა, ავტორები (მთხრობელი), მმართველი ელიტა (ვინც აწვდის ჩარჩოს შინაარსის მოსამზადებლად), მასწავლებლები (სთავაზობენ საკუთარ ინტერპრეტაციას სკოლის მოსწავლეებს) და მოსწავლეები (იღებენ მოწოდებულ ნარატივს).

მკვლევრები ფიქრობენ, რომ ისტორიული ნარატივების კონსტრუირება წარმოადგენს საფუძვლიან სტრუქტურას წარსულის აღწერისა და შესწავლისთვის. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ასახული ისტორიული ნარატივები შესაძლოა შეიცვალოს საზოგადოებაში არსებული გამოწვევებისა და შესაბამისად, მათ შესაძლოა მიიღონ სხვადასხვა დატვირთვა, ხედვა, სტრატეგია და მიზანი ისტორიის სწავლებისას. საფუძველს მოკლებული არ იქნება მოსაზრება, რომ ისტორიული ნარატივები დამოკიდებულია სტილსა და ფორმატზე, რომელსაც ავტორები გვთავაზობენ ეროვნული სასწავლო სტანდარტის ფარგლებში. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე შესაძლებელია იმის განსაზღვრა, რომ შემოთავაზებული სტანდარტი შესაძლოა წარმოადგენდეს მმართველი ელიტის ინსტრუმენტს, განსაზღვროს ისტორიის სწავლების დიზაინი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან, პოლიტიკური იდეოლოგიიდან და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე. ამიტომაც, მთავრობის როლი ისტორიის წერისა და ნარატივების კონსტრუირების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

მეთოდოლოგია

აღნიშნულმა ნაშრომმა მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზებისთვის გამოიყენა თვისებრივი კვლევის რამოდენიმე მეთოდი. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია, *კონტენტ ანალიზის მეთოდი*, რომელიც მოიცავდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სასწავლო პროგრამაში შეტანილი საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების (IX-X-XI-XII კლასების) გაანალიზებას.⁶ *შედარებითი ანალიზის მეთოდი* გულისხმობდა სახელმძღვანელოების წერის ირგვლივ არსებული თანამედროვე დებატების გაანალიზებას და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებების გაზიარებას. *ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის* საშუალებით შესაძლებელი გახდა საჭირო ინფორმაციის მოპოვება წიგნის ავტორების, მასწავლებლების, მასწავლებელთა ტრენერების და იმ ადამიანის შესახებ, რომლებიც თავად მონაწილეობენ პოსტ საბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნასა და შეფასებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ლიტერატურა ოთხი ტიპის ინფორმაციას ეყრდნობა. პირველი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია წარმოდგენილია სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში.⁷ გამომდინარე იქედან, რომ სახელმძღვანელოები დროის კონკრეტულ მონაკვეთსა და კონტექსტში იწერება, ასევე საჭირო გახლდათ იმ სამართლებრივი ჩარჩოს გააზრება, რომლის ფარგლებშიც იწეროდა ისტორია. ამიტომაც, მეორე წყარო გახლდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ეროვნული სასწავლო გეგმების გააზრება. მესამე სახის ინფორმაცია მიღებული იქნა საერთაშორისო სახელმძღვანელოების კვლევებისგან, რომელიც მოცავდა სხვადასხვა ქვეყნებში (გერმანია, პოსტ საბჭოთა ქვეყნები, იაპონია სხვ.) არსებული მეთოდოლოგიური და პედაგოგიური დამოკიდებულებების გამოვლენას.

მეოთხე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ისტორიის წერის პრაქტიკულ და ტექნიკურ პროცესის გააზრებისთვის მიღებულ იქნა ინტერვიუებიდან (ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს წიგნის ავტორებმა, მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის ტრენერებმა და განათლების სამინისტროს ისტორიის დეპარტამენტის ექსპერტებმა).

პოსტ საბჭოთა საქართველოს განათლების სისტემა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტ კომუნისტურმა ქვეყნებმა უმაღლესი განათლების რეფორმების რამდენიმე ტალღა გაიარეს. გამომდინარე, იქედან, რომ ახალ რეალობაში საჭირო იყო ახალი ინსტიტუციური მოწყობისთვის საჭირო პირობების პოვნა, ქვეყნების უმეტესობისთვის დასავლური განათლების სისტემა ერთგვარი შთაგონების წყარო გახდა. საქართველოში საგანმანათლებლო სფეროში ფართომასშტაბიანი რეფორმების დაწყება 2003 წლის ვარდების რევოლუციასთან უკავშირდება, რადგან სწორედ ამ პერიოდში ინიცირდა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპულ განათლების სისტემასთან დაახლოება.⁸ ცხადია, რეფორმები უმაღლესი განათლების სფეროში პირდაპირაა დაკავშირებული დაწყებითი და საშუალო განათლების სფეროს რეფორმებთან, ამიტომაც მან სასკოლო პროცესის განვითარებაზეც ჰპოვა თავისი ასახვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს განათლების სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებული და იდეოლოგიზირებული იყო. მთელი სისტემა პირამიდულ პრინციპს ეყრდნობოდა, რაც გამოიხატებოდა არა მხოლოდ კრემლიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მართვაში, არამედ სასწავლო პროცესში მასწავლებელსა და აკადემიურ მიღწევებზე ორიენტირებული მეთოდის დანერგვაში. აკადემიური პროცესი ძირითადად მექანიკურ დამახსოვრებას ისახავდა მიზნად კითხვის დასმისა და შინაარსის საფუძვლიანად გააზრების გარეშე.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ განათლების სტრატეგია ქართული საგანმანათლებლო სისტემის ევროპულთან დაახლოება გახლდათ, რომელსაც ამავდროულად უნდა გაეთვალისწინებინა ადგილობრივი საჭიროებები, ძლიერი

მხარეები და მახასიათებლები, რომლითაც უნდა განვითარებულიყო სისტემა.⁹ განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებული რეფორმა მიზნად ისახავდა კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების წახალისებას, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვასა და ცოდნასთან ერთად უნარ-ჩვევების განვითარებას.¹⁰

ქართული საგანმანათლებლო გარემოს უკეთ აღქმისთვის საჭიროა, კარგად ვიცნობდეთ იმ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესს. განათლების და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა ეროვნული სასწავლო გეგმა,¹¹ რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.¹² არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმის სამი თაობა: 2004-2005 წლებში მიღებული სასწავლო გეგმა, 2009-10 წლების სტანდარტი და მომქმედი (2011-16 წლების) სასწავლო გეგმა.

ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებიდან გამომდინარე, პირველი თაობა ძირითადად ევროპულ გამოცდილების გაზიარებასა და პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ინსტიტუტების დასავლურ სტანდარტებთან დაახლოებისკენ იყო მიმართული. სწორედ ეს გახლდა მიზეზი იმისა, რომ განათლების სფეროში (მათ შორის სახელმძღვანელოების თვალსაზრისით) რამდენიმე ექსპერიმენტი ჩატარდა. ერთ-ერთი იყო საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია) სახელმძღვანელოების გაერთიანება და ერთიანი ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შექმნა. იდეა მიზნად ისახავდა მოსწავლეებისთვის ისტორიისა და გეოგრაფიის ერთად სწავლებას, ისტორიული რეალობის უკეთ აღქმას გეოგრაფიული არეალის საშუალებით. მალევე გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, როგორებიც გახდა პროფესიული კადრების ნაკლებობა, სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიური გაუმართაობა და მასწავლებელთა გადამზადების პროცესის გართულება.¹³

ეროვნული სასწავლო გეგმის მეორე თაობა 2009-10 წლებში დამტკიცდა და მიზნად ისახავდა წინა სასწავლო გეგმის ნაკლოვანებების გამოსწორებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება გახლდათ სახელმძღვანელოების ავტორებისთვის მკაცრი წესების შემოღება. მათი შინაარსის 80% წინასწარ იყო განსაზღვრული განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ამან ერთი მხრივ ხელი შეუწყო ინტელექტუალური ბაზრის დიფერენციაციას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და ახალი ავტორების გამოჩენას, თუმცა მეორე მხრივ, წარმოშვა პრობლემები, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმძღვანელოების შინაარსთან, მასალის არათანაბარ განაწილებასთან და ეროვნული გამოცდებისთვის საერთო სასწავლო პროგრამის შემუშავების შეფერხებასთან.

სასწავლო გეგმის მესამე თაობა (2011-2016) ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. მისი ძირითადი დანიშნულება სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვას, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, პრეზენტაციის და ანალიზის უნარების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, განათლების სისტემაში არსებული რეფორმების გავლენა სახელმძღვანელოების განვითარებაზე. კორუფციული

სისტემიდან კონკურენტუნარიან გარემოზე გადასვლამ გამოიწვია მოძველებული ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიტიკური ტექსტებით, პარაგრაფებითა და ისტორიული წყაროების ანალიზით ჩანაცვლება. გაჩნდა ე.წ. კონტექსტი, რომელმაც ნათლად დაგვანახა არსებულ რეალობაში კონკრეტული ქვეყნის ადგილი და დანიშნულება.

საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები პოსტ საბჭოთა საქართველოში

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ეთნოცენტრისტულად წარმოდგენილ საქართველოს ისტორიაში უფრო მეტი ფოკუსი გაკეთდა იმ ისტორიულ ნარატივებზე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონკრეტული გეოპოლიტიკური არეალისთვის გავლენის მოხდენაზე.¹⁴

არსებობს სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების სამი განსხვავებული თაობა. საქართველოს შემთხვევაში, ისტორიის სახელმძღვანელოების პირველი თაობა წარმოადგენდა საბჭოთა სახელმძღვანელოების განახლებულ ვერსიას, მოძველებული სიმბოლოებითა და მარსისტულ-ლენინური იდეოლოგიების ჩარჩოებში ვითარდებოდა. მეორე თაობის სახელმძღვანელოებს უფრო დისიდენტური განწყობა გასდევდა ლაიტმოტივად, ისინი მიზნად ისახავდნენ პატრიოტული გრძნობების გაღვივებას და სწავლების პროცესის ისტორიით გაჯერებას. მაშინ როცა მესამე თაობის სახელმძღვანელოებში უფრო მეტადაა გამოკვეთილი კრიტიკული ანალიზის საწყისები.¹⁵ მეთოდოლოგიურად, ახალ სახელმძღვანელოებში ნაკლებადაა წარმოდგენილი ე.წ. ავტორის ნარატივი და მეტი ადგილი ეთმობა სხვადასხვა ისტორიული წყაროების ანალიზს, ძირითადი ტერმინების განსაზღვრებას და კონტექსტის აღქმას.¹⁶

თუ შევადარებთ, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითს, მარტივია იმის დანახვა, რომ ისტორიის წერის განვითარება სამივე ქვეყანაში თითქმის ერთნაირად განვითარდა. როგორც მინასიანი (2009) ამტკიცებს, სომხეთის შემთხვევაში, ისტორიის წერის პროცესსა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში სახელმძღვანელოებმა ავტორებთან და ისტორიკოსებთან ერთად დიდი როლი ითამაშეს. აქედან გამომდინარე, ის უფრო მეტად კონცენტრირებული გახლდათ ეთნიკურად განსაზღვრულ ისტორიაზე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე, სომხეთის გენოციდსა და სომხური პოლიტიკური რეალობისთვის აქტუალურ საკითხებზე.¹⁷

აზერბაიჯანის შემთხვევაში, ისტორიული აზროვნების ვექტორი ისტორიული მონაკვეთის განმავლობაში იცვლებოდა. ელჩიბეის პრეზიდენტობისას ისტორიკოსები უფრო მეტად საუბრობდნენ თურქებისა და აზერბაიჯანელების საერთო წარმომავლობასა და რეგიონალურ პრობლემებზე. დღესდღეისობით ბაქო აქტიურად იძიებს რელიგიურ და მონოთეისტური ტრადიციების ნიმუშებს. გარდა მთიანი ყარაბაღისა და საზღვრებთან დაკავშირებული საკითხებისა, როგორც გასიმოვი (2009) აღნიშნავს, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები აქტიურად მუშაობენ თურანის იდეაზე.¹⁸

ქართულს რეალობასთან შედარებისას, ადვილია იმის გარკვევა, რომ ეთნოცენტრიზმი, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობასთანაა დაკავშირებული, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მმართველი ელიტის, ავტორების, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას.

დასკვნა

პოლიტიკური რეალობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავდა საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოების გაანალიზებას ნაციონალიზმის პრიზმაში, იმის დადგენას, თუ რამდენად აისახა არსებული პოლიტიკური მდგომარეობა სახელმძღვანელოებში და რამდენად შეცვალა რეჟიმის ცვლილებამ სახელმძღვანელოების წერის ფორმატი.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ იდეოლოგიური ტრანსფორმაცია ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის მცდელობას დაემთხვა. დამოუკიდებლობის პირველ წლები ეთნიკური ნაციონალიზმის აღმავლობის პერიოდს წარმოადგენდა. აშკარა იყო, რომ გარდამავალი პერიოდი, თავის მხრივ, მოითხოვდა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას, საზოგადოების მოწყობას და მათში ძლიერი და მნიშვნელოვანი ქვეყნის სახელის გაცოცხლებას. თუ აღნიშნულ საკითხს ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან შევხვდებით, მივხვდებით, რომ ახალი ისტორიული რეალობის შექმნა და კონსტრუირება პატარა ერების პრობლემას წარმოადგენს.¹⁹

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების პირველი თაობა სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. მასში ნათლად იყო გაშუქებული საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, ქვეყნის მისია და იდენტობის მარკერები (ენა და რელიგია), რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის შემდგომი სტატუს კვოს შენარჩუნებისთვის იყო მნიშვნელოვანი.

ეთნიკური ნაციონალიზმის გზიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ტენდენციები შევარდნამის დროინდელი საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში შეიმჩნევა. თუმცა, აშკარაა, რეჟიმის პოლიტიკა შეერბილებინათ ნაციონალისტური განწყობები ქვეყანაში, საპირისპიროდაა ასახული ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომელიც წინა თაობის სახელმძღვანელოების მსგავსად გაჯერებული გახლდათ ისტორიით და საკმაოდ დისიდენტურ იდეას ავითარებდა. საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი, მიხეილ ბახტაძე, აღნიშნავდა, რომ სკოლის სახელმძღვანელოებში მაქსიმალურად იყო წარმოდგენილი ისტორიული ნარატივები, საბჭოთა კავშირში საქართველოს ისტორიის არარსებობის ხარჯზე.²⁰

რეალური იდეოლოგიური გარდატეხა, რომელიც უფრო მეტად სახელმძღვანელოების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, არის ვარდების რევოლუცია, განათლების რეფორმა და ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღება, რომლის მიზანს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების პოპულარიზაცია წარმოადგენდა. სწორედ

მისი შედეგია სახელმძღვანელოების შინაარსის ხშირი ცვლილება, ექსპერიმენტული დამოკიდებულება და მეტი ფოკუსი კონტექსტის გაჩენაზე.

დასკვნის სახით, საინტერესო იქნებოდა იმ ძირითადი მიგნებების გაცნობა, რომელიც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა. ისტორიის სახელმძღვანელოების განვითარება 20 წლის განმავლობაში რამდენიმე იდეოლოგიურ პარადიგმას წარმოგვიდგენს. პირველი, ეს არის ეთნო-ნაციონალისტური პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ნარატივები უფრო მეტად წარმოაჩენს ეთნიკური ქართველების როლს, ნაკლებად და თითქმის არ უსვამს ხაზს ეთნიკური უმცირესობის როლს სახელმწიფოს მშენებლობაში. როგორც გრეგორი სუნი (1983) აღნიშნავს, „საქართველოს ისტორია თავის თავშივე მოიცავს ახლო მეზობლებისა და მტრების ისტორიას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ნაციონალისტი ისტორიკოსები ეთნიკური ქართველების ისტორიას რომაელების, სპარსების, თურქების, რუსებისა და სომხების როლის გათვალისწინების გარეშე განიხილავენ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ურთიერთობების დაძაბვას აღნიშნულ ეროვნებებს შორის“.²¹

მეორე პარადიგმა არის ჰეგემონიური ნაციონალიზმის პარადიგმა, რომელიც ასახავს სოციალური ისტორიის ნაკლებობას (თითქმის არარსებობას) საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში. საქართველოს ისტორია გაჯერებულია მეფეების, იერარქების, არისტოკრატების როლით, მაშინ როცა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ისეთივე საინტერესოა სხვადასხვა სოციალური ფენის მონაწილეობა, როგორც მმართველი ელიტის.

მესამე პარადიგმა არის სოციალური კონსტრუქტივიზმის პარადიგმა, რომელიც თავის თავში მოიცავს სასწავლო პროცესის აქტორებისა და დონეების გააზრებას. ამ პარადიგმიდან გამომდინარე პრობლემას ვაწყდებით არა მხოლოდ სახელმძღვანელოს მომზადების, მათი შედგენისას მეთოდოლოგიური და პედაგოგიკური პრინციპების არ გათვალისწინებით, არამედ მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და მათ გადამზადებასთან დაკავშირებული შეფერხებები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშუალო სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ასახული რეალობა არ წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის პრობლემას. მიმდინარე პოლიტიკური თუ საჯარო დებატების ფონზე ისტორიული ახსნის როლი და ისტორიული თვითშეგნების განვითარება სკოლებში კიდევ ერთხელ გამოკვეთს ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ისტორიული ნარატივები და ისტორიის წერის პროცესი ძირითად შემთხვევაში იდეოლოგიზირებულია.²²

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალოს სკოლის საქართველოს ისტორიების გაანალიზება ერი-სახელმწიფოს მშენებლობის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის თანამდევნი ნაწილი გახლდათ. მათში კარგადაა აისახა ნაციონალიზმის როლი, ნაციონალიზმის გავლენა პოლიტიკაზე და ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის მცდელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ნ. (1995), *საქართველოს ისტორია* (მე-8-9 კლასის სახელმძღვანელო). გამომცემლობა განათლება. თბილისი;
2. ახმეტელი ნ. (2010), *მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია* (მე-12 კლასის სახელმძღვანელო). გამომცემლობა დიოგენე, თბილისი;
3. ახმეტელი ნ. (2008), *საქართველოს ისტორია* (მე-9 კლასის სახელმძღვანელო). გამომცემლობა დიოგენე, თბილისი;
4. ვაჩნაძე მ. გურული ვ. ბახტაძე მ. (2001), *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე* (მე-10 კლასის სახელმძღვანელო). გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.
5. მეტრეველი რ. (2003), *ჩვენი სამშობლოს მატთანე*. გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი;
6. Barry P. (2002), *Beginning Theory: An Introduction to Literary and Cultural Theory*. Manchester: Manchester University Press;
7. Bennet S. (2000) "Seminar on "How to teach controversial and sensitive issues in present-day secondary schools" (Tbilisi, 13–14 November)", in *The Tbilisi Initiative: reports of national seminars in 2000*, Strasbourg: Council of Europe;
8. Asimov, Zaur, (2009) *A Short Sketch of One Century of Azerbaijani Historical Writing*. Caucasus Analytical Digest (08/09).
9. Gundare I. (2007), *The Teaching of History in Georgia*. With special focus on the Armenian and Azeri minorities and their representation in Georgian history textbooks. The publication of the project *History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks delivered by Swiss Federal Department of Foreign Affairs (CIMERA)*;
10. Jibladze E. (2010), "How far from Europe? – Higher Education Reforms in Georgia." Department of Public Policy, CEU
11. Leeuw-Roord, J.(2005), *Report on History and the Teaching of History in Georgia and Abkhazia: For Caucasus project of International Alert "Confidence-building between Georgian and Abkhaz Societies"* pp. 13, 15;
12. Leinhardt, G., & Steele, M. D. (2005). "Seeing the complexity of standing to the side: Instructional dialogues." *Cognition and Instruction*, 23(1);
13. Inasyan Sergey., (2009). *Armenia's Attitude Towards its Past: History and Politics*. Caucasus Analytical Digest (08/09).
14. Nicholls, J. (2006), *School History Textbooks across Cultures*. Oxford: Symposium Books;
15. Reisner, Oliver., (2009). *Interpreting the Past – From Political Manipulation to Critical Analysis?* Caucasus Analytical Digest (08/09).
16. Pingel F. (2010) *UNESCO Guidebook on Textbook Research and Textbook Revision*. Georg Eckert Institute for International Textbook Research. Paris/ Braunschweig
17. Shnirelman, V. (1996), *Who Gets the Past? Competition For Ancestors among non-Russian Intellectuals in Russia*, Washington, DC, John Hopkins University Press;
18. Suny R.G. (1983), *Transcaucasia: nationalism and social change: essays in the history of Armenia, Azerbaijan, and Georgia*. Kennan Institute for Advanced Russian Studies, and American Association for the Advancement of Slavic Studies;

19. ინტერვიუ ბესიკ ლორთქიფანიძესთან (N 20 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი);
20. ინტერვიუ მიხეილ ბახტაძესთან (ისტორიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
21. ინტერვიუ თეა ქარჩავასთან და ნიკოლოზ სილაგაძესთან (საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი, ისტორიის ექსპერტები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო).